



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 191

2011 წლის 21 დეკემბერი

ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამა საერთო ბიუჯეტით 97920 (ოთხმოცდაჩვიდმეტიათასცხრაასოცი) ლარი
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #13) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში ფუნქციონირებს სამი არასამეწარმეო იურიდიული პირი „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხაშურის სამუსიკო სკოლა“, „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება სურამის სამუსიკო სკოლა“ და „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა“. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას მუსიკალური განათლების მიღების პროცესში.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 18; საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.

მუხლი 2. პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა თანადაფინანსებას, თითოეულ ბავშვზე 16 ლარის ოდენობით სასწავლო და არასასწავლო პერიოდშიც (პედაგოგთა და სხვა პერსონალის სტაბილური და სისტემატური ანაზღაურების უზრუნველსაყოფად)

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს, მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც მთლიანობაში მშობელთა მიერ სწავლების გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა: 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 97920 ლარი, რაც გათვლილია 510 მოსწავლეზე; თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს პროგრამის შედგენის მომენტისათვის სკოლებში რეგისტრირებულ მოსწავლეთა რაოდენობა

| № | დასახელება | მოსწავლეთა რაოდენობა | ერთი მოსწავლის დაფინანსების სიდიდე | სუფსიდიების ოდენობა წლიურად |
|----|---|----------------------|------------------------------------|-----------------------------|
| №1 | არასამეწარმეო იურიდიული პირი ხაშურის სამუსიკო სკოლა | 288 | 16 | 55296 |
| №2 | არასამეწარმეო იურიდიული პირი სურამის სამუსიკო | 141 | 16 | 27072 |
| №3 | არასამეწარმეო იურიდიული პირი ქვიშხეთის სამუსიკო | 81 | 16 | 15552 |
| | | | | სულ 97920 ლარი |